მიღებული გრანტები

საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ფულადი გრანტი

საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2019 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გრანტის სახით ჩაერიცხა 77 476,18 ლარი. აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია საქართველოსა და საფრანგეთს შორის საპოლიციო და სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისთვის.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიერ გაცემული ფულადი გრანტი

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“ მიერ 2019 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გრანტის სახით ჩაერიცხა 3 136 138,57 ლარი. აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტისთვის უშიშროების აღჭურვილობის, ობიექტის და ოპერირების დაფინანსებისთვის. 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 3 091 652,80 ლარს.